გარდა ამისა, ICMPD აქტიურად გააგრძელებს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას სხვადასხვა საკითხებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდება ტრენინგი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე; ასევე, ადგილზე დახმარებას გაუწევენ მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების დანერგვაში. ICMPD, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად, მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის პროგრამას შეიმუშავებს, ხოლო შემდგომ მოხდება მისი პილოტირება; მიგრაციის საკითხებზე ტრენინგების ციკლი ჩატარდება კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების, მასმედიისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებზე. ტრენინგები ორგანიზებულია ENIGMMA-ს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, რომელიც პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი ყოველწლიური აქტივობაა და იგი დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. მომავალ თვეებში გათვალისწინებულია თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოს მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში, ასევე, საკონსულო მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავება და პილოტირება საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. ადგილზე დახმარება გაეწევა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა

### მიგრაციის საკითხზე ლექციები თსუ-ში

ამასთან ერთად, ICMPD კვლავ გააგრძელებს ლექციათა ციკლს და სამუშაო შეხვედრებს მიგრაციის საკითხებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

### ვინ ვინ არის? დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველოს სახელმწიფოსთვის საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებზე ზრუნვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ძირითადი მიზანია ქართული დიასპორის ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნვა, სამშობლოში მიმდინარე პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. საზღვარგარეთ არსებულ ქართულ საგანმანათლებლო თუ კულტურულ კერებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ინტენსიური დიალოგი, ერთიანი სასწავლო პროგრამის გაზიარების, მათთვის შესაბამისი ლიტერატურის, თვალსაჩინოებისა და ეროვნული სიმბოლიკის მიწოდების გზით.

აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა ჯეროვნად შესრულდეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დასახული ამოცანები და ქართული დიასპორასთან დაკავშირებული თემატიკა წარმოდგენილი იყოს უფრო მაღალ ხარისხში.





## სამუშაო შეხვედრა შერეული მიგრაციის საკითხზე

31 მარტიდან 1 აპრილამდე, თბილისის პოლიციის აკადემიაში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა შერეული მიგრაციის საკითხზე. შეხვედრა ორგანიზებული იყო პროექტ ENIGMMA-ს მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისთვის ადამიანის უფლებათა სფეროში ტრენინგების ჩატარების კომპონენტის ფარგლებში. სამუშაო შეხვედრის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საპატრულო პოლიციისა და მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს საშუალება ჰქონდათ განეხილათ და გაცნობოდნენ პოლონეთის უცხოელთა ოფისისა და ICMPD-ის თავშესაფრის კომპეტენციის ცენტრის ექსპერტთა გამოცდილებას. მონაწილეებმა განსაზღვრეს მიგრაციის ნაკადების სხვადასხვა ტიპები, მათი იდენტიფიცირების და ეფექტური მართვის საშუალებები. სამუშაო შეხვედრა გამოირჩეოდა მაღალი ინფორმაციული დატვირთვით და მონაწილეებმა იგი ძალზე ნაყოფიერად მიიჩნიეს.

## სასწავლო ვიზიტი ესტონეთსა და ავსტრიაში მიგრაციის მონაცემთა მართვის საკითხებზე



ამა წლის თებერვალსა და მარტში, პროექტ ENIGMMA-სა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი ორგანიზებით, სასწავლო ვიზიტები განხორციელდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში - ესტონეთსა

და ავსტრიაში, რომლებშიც მონაწილეობდნენ მიგრაციის მონაცემთა მართვის პროცესში ჩართული საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სასწავლო ვიზიტის მეშვეობით ქართველმა პარტნიორებმა შეისწავლეს მიგრაციის მონაცემთა დამუშავების, მართვისა და ანალიზის სისტემები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ქვეყნებში მოქმედებს. სასწავლო ვიზიტები მიზნად ისახავდა ქართველი კოლეგებისათვის დახმარების გაწევას მიგრაციის მონაცემების მართვის ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. პროექტ ENIGMMA-ს გუნდი მომავალშიც მხარს დაუჭერს სამუშაო ჯგუფს, რომელიც მიგრაციის მონაცემთა მართვის საკითხებზე მუშაობს.

## სამუშაო შეხვედრა სავიზო განცხადებათა შეფასების შესახებ

19 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში და ავსტრიელ ექსპერტთან მჭიდრო თანამშრომლობით, სამუშაო შეხვედრა გამართა სავიზო განცხადებათა შეფასების საკითხზე. სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, კერძოდ, მისი საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომელთა ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარებას სავიზო პროცედურების შესწავლის მიმართებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უცხოელთა შესახებ კანონში შეტანილ ბოლოდროინდელ ცვლილებებს.

სამუშაო შეხვედრის დროს სავიზო საკითხებზე მომუშავე ავსტრიელმა ექსპერტმა მონაწილეებს გააცნო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილება ოპერატიული ინსტრუქციების შესახებ, ვიზის განცხადების შესწავლის პროცედურები და მათთან დაკავშირებული სხვა ასპექტები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში სავიზო განაცხადების შეფასების სათანადო მოდულის შემდგომ შემუშავებას.

## სამეთვალყურეო ჯგუფის მეოთხე შეხვედრა

18 მარტს, თბილისის იუსტიციის სახლში, სამეთვალყურეო ჯგუფის მეოთხე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ორგანიზება

მოხდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „მეტი მეტისთვის“ ფარგლებში, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ ICMPD და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. შეხვედრაზე შეიკრიბნენ საქართველოს სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოში ევროკავშირის დელაგაციის წარმომადგენლები.



შეხვედრაზე ICMPD-ის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ანგარიშგების პერიოდში მიღწეულ წარმატებებზე (2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის მარტამდე), სამომავლო აქტივობებზე და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრთა გეგმებზე. პრეზენტაციების შემდეგ გამოითქვა მომავალ თანამშრომლობასთან დაკავშირებული მოსაზრებები და წინადადებები.

შეხვედრის დასასრულს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა მაღლობა გადაუხადა ICMPD-ს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას მათი საპროექტო აქტივობებისთვის, ასევე, სხვა წევრებს, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის „მეტი მეტისთვის“ განხორციელებაში. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ENIGMMA-ს რიგით მესამე ანგარიშში, რომელიც ხელმისაწვდომია პროექტ ENIGMMA-ს ვებ გვერდზე [www.enigmma.ge](http://www.enigmma.ge).

## სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდებსა და ბელგიაში ლეგალური მიგრაციის საკითხებზე

2-5 მარტს, პროექტ ENIGMMA-ს წარმომადგენლები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციასთან ერთად, ნიდერლანდებსა და ბელგიას ეწვივნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა საქართველოს საკონსულოს თანამშრომელთა ანალიტიკური შესაძლებლობების განმტკიცებას ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ვიზის გაცემის პროცედურების გაცნობის გზით, უცხოელთა შესახებ კანონში განხორციელებული უახლესი ცვლილებების შუქზე.

ტრენინგის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები გაეცნენ ინსტრუქციებს ელექტრონული ვიზის პროცედურების შესახებ, რათა ისინი გამოყენებული იქნეს 2015 წლის თებერვალში ამოქმედებული ელ-ვიზის პორტალისთვის, კერძოდ, განცხადების შესატანად, მოთხოვნების წარსადგენად, ელ-ვიზის განცხადებების შესაფასებლად და ა.შ. პროექტ ENIGMMA-ს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სავიზო განცხადებების შესწავლის პროცედურები და პრაქტიკა შეაფასეს და ადმინისტრაციული პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციები ჩამოაყალიბეს.

## გამოცდილების გაზიარების მიზნით გამართული სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და ევროკავშირში ბინადრობის წესების საკითხებზე

17 და 18 თებერვალს ლიტველ და ლატვიელ ექსპერტებთან ერთად გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და ევროკავშირში ბინადრობის წესების შესახებ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის და საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აქტიურად განიხილეს ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პრაქტიკა. ლიტველმა და ლატვიელმა ექსპერტებმა





ზოგადი მოხსენების პროექტი, დამატებითი კომენტარების მიღების მიზნით, კვლევაში მონაწილე ინსტიტუტებს დაურიგეს. მოხსენება მისაწვდომია პროექტ ENIGMMA-ს ვებ გვერდზე [www.enigmma.ge](http://www.enigmma.ge).

### საპატიო მედალი ქართულ დიასპორაში ჩართულობისთვის



დიასპორის ჩართულობაში მიღწეული წარმატებებისთვის, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ICMPD საპატიო მედლით დააჯილდოვა. ICMPD-სთვის დიდი პატივია მისი შრომის ასეთი აღიარება, მაგრამ,

გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენმა ქართველმა პარტნიორებმა, ქართული დიასპორის წევრებმა და მეგობრებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ჩვენს საქმიანობას. ძვირფასო მეგობრებო, ICMPD-ის წარმატება თქვენს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, და ჩვენ მოუთმენლად ველით ჩვენი თანამშრომლობისა და მეგობრობის გაგრძელებას მომავალში!

### პროფესიული დიასპორის პირველი ფორუმი

27 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროფესიული დიასპორის ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. ფორუმი მიზნად ისახავდა დიასპორის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას საქართველოსთვის, პარტნიორობის ჩამოყალიბებას დიასპორასა და მთავრობას შორის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო სექტორის ჩათვლით.



ფორუმს მიესალმა საქართველოს პრემიერ მინისტრი, ბ-ნი ირაკლი ღარიბაშვილი. პრემიერ მინისტრმა ისაუბრა საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე რეფორმების მნიშვნელობაზე, ხაზგასმით მიუთითა საქართველოს უნიკალურ რესურსებზე და განიხილა ქართული დიასპორის წინაშე მდგარი პრობლემები. ფორუმზე გამომსვლეთა შორის იყო ვიოლეტა ვაგნერი, ICMPD-ის პროექტის მენეჯერი, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა ICMPD-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობაში მიღწეული წარმატებები.

### მიგრაციის მონაცემების მართვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა



19-20 მაისს, კაჭრეთში, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ორგანიზებული იყო პროექტ ENIGMMA-ს მიერ, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა მიგრაციის მონაცემთა მართვის კომპონენტის ფარგლებში და იგი მიზნად ისახავდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა შემდგომ დაახლოვებას.

ორდღიანი სემინარის განმავლობაში მონაწილენი განიხილავდნენ ესტონეთში (ორგანიზებული იყო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ) და ავსტრიაში (ორგანიზებული იყო ICMPD-ის მიერ) ჩატარებული სასწავლო ვიზიტების შედეგებს. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ტექნიკური გადაწყვეტების, ბიუჯეტისა და საკანონმდებლო ასპექტების

შესახებ, რომლებიც მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური სისტემის შექმნისთვისაა საჭირო. გარდა ამისა, განიხილეს ICMPD-ისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოადინებული სისტემისათვის შემდგომი დახმარების საკითხი, ევროკავშირის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში.

### სამუშაო შეხვედრა მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხზე

17 აპრილს თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხზე. სამუშაო შეხვედრის თანაორგანიზატორები იყვნენ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო და პროექტი ENIGMMA. შეხვედრაზე შეიკრიბნენ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში მიგრაციის მართვის პროცესში არიან ჩართულნი. შეხვედრის დროს ქართველმა კოლეგებმა განიხილეს სააქართველოს ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხი და ერთმანეთს გააცნეს პროცესის დროს განსაზღვრული საჭიროებები და გამოწვევები.

შეხვედრის ერთ-ერთი ამოცანა იყო ევროპული ქვეყნების მიერ მიღებული გამოცდილების გაცნობა და განხილვა - მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მიზნებისთვის. დისკუსიას საფუძვლად დაედო ICMPD-ის მიერ მომზადებული ანალიტიკური მოხსენება, სადაც თავმოყრილი იყო მიგრაციის სტრატეგიების ანალიზი და მიგრაციასთან დაკავშირებული სხვა პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტები ევროპის ქვეყნებიდან (ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ფინეთი, გერმანია, მოლდოვა და სლოვაკეთი). გარდა ამისა, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს საპილოტე ანალიტიკურმა დანაყოფმა კიდევ ერთი მოხსენება წარმოადგინა - „მიგრაციის მდგომარეობა საქართველოში“, რომელიც ქართველმა მკვლევარებმა შეიმუშვეს, საპილოტე ანალიტიკური დანაყოფისა და ICMPD-ის მკვლევართა მონაწილეობით. მოხსენებაში აღწერილია საქართველოში მიგრაციის კვლევის სტატუსი კვო და მოცემულია რეკომენდაციები პოლიტიკის შემდგომი განვითარებისთვის. მიგრაციის ახალი სტრატეგიის შემუშავებისას ქართველ პარტნიორებს ორივე დოკუმენტის გამოყენება შეუძლიათ: პირველ დოკუმენტში არის რეკომენდაციები სტრატეგიის მეთოდოლოგიის შესახებ, ხოლო მეორე დოკუმენტში - თემატური რეკომენდაციები სტრატეგიით გათვალისწინებული სფეროების მიმართებით.

გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, კერძოდ, პოლონეთიდან და ფინეთიდან მოწვეულმა ექსპერტებმა, დამსწრეთ გააცნეს თავიანთი სახელმწიფოების მიგრაციის სტრატეგიები და მოსაზრებები გამოთქვეს საქართველოში მიგრაციის სტრატეგიის განვითარების სტატუსს შესახებ. ორივე მოხსენება ხელმისაწვდომია პროექტ ENIGMMA-ს ვებ გვერდზე [www.enigmma.ge](http://www.enigmma.ge).

### სასწავლო ვიზიტი ბინადრობის ნებართვის საკითხებზე ლიტვაში

15-17 აპრილს, პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში, ვილნიუსში (ლიტვა) განხორციელდა სასწავლო ვიზიტი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისთვის. სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო ლიტვაში ბინადრობის ნებართვის (დროებითის და მუდმივის) გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, უცხოელთა რეგისტრაციის პროცედურების გაცნობა, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების დამუშავების გაცნობა და ა.შ.

ქართველმა და ლიტველმა საჯარო მოსამსახურეებმა ერთმანეთს გააცნეს ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია და მიღებული გამოცდილება. სასწავლო ვიზიტი განხორციელდა ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიგრაციის საქმეთა განყოფილების მხარდაჭერით.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





სტუდენტებსა და მოსწავლეებზე; ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლებისა და უნივერსიტეტების, ადგილობრივი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დღის განმავლობაში მრავალი სხვა აქტივობაც განხორციელდა, მათ შორის: ENIGMMA-ს მიერ ორგანიზებულ ფოტოკონკურსში - „რას ნიშნავს ჩემთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლა?“ - გამარჯვებული ფოტოების გამოფენა; ინფორმაციის გავრცელება ასოცირების ხელშეკრულების, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების და მობილობის შესახებ; დარიგდა საინფორმაციო მასალა ევროკავშირის შესახებ, მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოზარდებისთვის შემუშავებული მასალის ჩათვლით; გაიმართა ვიქტორინები და თამაშები, კალათბურთისა და ცეკვის კონკურსები, პოპულარული მუსიკალური ჯგუფის „Life Bell“-ის კონცერტი. ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მიგრაციის სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის, საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და საქართველოში მიგრაციის მართვის შესახებ.

### ფოტოგამოფენა

საინფორმაციო კამპანიის დროს ENIGMMA-მ მოაწყო ქართველ ფოტოგრაფთა შერჩეული ნამუშევრების გამოფენა. ფართო თემატიკა მოიცავდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებსა და მიგრაციას. ოთხი ცნობილი ფოტოგრაფის - გურამ წიბახაშვილის, თინათინ კიდურაძის, ლელა მეფარიშვილისა და ვახო ხეთაგურის 13 ნამუშევარი გამოიფინა 14 მაისს საქართველოს პარლამენტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციისა და 16 მაისს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული დასკვნითი საინფორმაციო ღონისძიების მსვლელობისას.

### ფოტოკონკურსი „რას ნიშნავს ჩემთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლა?“

ამა წლის მარტში, პროექტ ENIGMMA-მ, საქართველოში გამოაცხადა კონკურსი დევიზით „რას ნიშნავს ჩემთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლა?“. ფოტოკონკურსი ზოგადად ფოკუსირებული იყო ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებზე და მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესახებ, საქართველოში მოქალაქეთა მობილობის, უვიზო რეჟიმის, სავიზო დიალოგისა და სხვა საკითხების ჩათვლით. მონაწილეებს სთხოვეს წარმოედგინათ ფოტოები, სადაც ისინი ასახავდნენ თუ რას ნიშნავდა მათთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლა. საკონკურსოდ სულ 69 ფოტო შემოიტანეს. ჟიურიმ 12 ფინალისტი და 3 მთავარი გამარჯვებული გამოავლინა. ფოტოკონკურსის სამი გამარჯვებული დაჯილდოვდა ევროკავშირში დამზადებული პლანშეტური კომპიუტერით, ხოლო 12 საუკეთესო ფოტოს ავტორები მნიშვნელოვანი წამახალისებელი პრიზებით დაჯილდოვდნენ. გარდა ამისა, შერჩეული 12 საუკეთესო ფოტო პროექტ ENIGMMA-ს 2016 წლის კალენდარში გამოქვეყნდება.

### სასწავლო ვიზიტი ლიტვასა და ლატვიაში

14-19 ივნისს, პროექტ ENIGMMA-ს ორგანიზებით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ლიტვასა და ლატვიაში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. სასწავლო ვიზიტის დროს საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ ლიტვისა და ლატვიის საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებს, რათა განეხილათ ისეთი საკითხები, როგორიცაა უცხოელთა რეგისტრირება, არალეგალურად მცხოვრებ უცხოელთა გამოვლენა და დაკავების ცენტრებში განთავსება, ზემოაღნიშნული პროცედურების საკანონმდებლო ასპექტები, თავშესაფართან დაკავშირებული საკითხები, და სხვა.

### სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის საკითხზე

მაისში, პროექტ ENIGMMA-ს მიერ ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის საკითხზე. შეხვედრა მოეწყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით. შეხვედრაზე ENIGMMA-ს გუნდმა წარმოადგინა მაღალკვალიფიციური დიასპორის ჩართულობის პროგრამა, მისი ძირითადი ელემენტები და მოსალოდნელი შედეგები.



პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა სამუშაო ჯგუფის სხდომა, რომლის განმავლობაშიც დიასპორის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა წარმოადგინეს თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები პროგრამასთან დაკავშირებით, განსაზღვრეს პოტენციური საჭიროებები და გამოწვევები, რომლებიც პროგრამაში უნდა იქნეს გათვალისწინებული. სამუშაო ჯგუფის პრეზენტაციების შემდეგ შემუშავდა დეტალური სამუშაო გეგმა და განისაზღვრა თანამშრომლობის სამომავლო ნაბიჯები.

### პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საბოლოო მოხსენების პრეზენტაცია



28 მაისს, პროექტ ENIGMMA-მ წარმოადგინა საბოლოო მოხსენება საქართველოში მიგრაციის სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის კვლევის შესახებ. კვლევა განხორციელა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“, რომელსაც ზედამხედველობას უწევდა ICMPD-ის ექსპერტი.

ღონისძიებაზე შეიკრიბნენ მიგრაციის სფეროში მომუშავე სახელმწიფო ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რათა განეხილათ კვლევის ძირითადი შედეგები და თვალსაჩინო გაეხადათ საქართველოს მიერ მონაცემთა დაცვის სფეროში მიღწეული წარმატებები. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ხაზგასმით მიუთითეს ევროკავშირი-საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ნიშნულების მნიშვნელობაზე და პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში მიღწეულ წარმატებებზე. გარდა ამისა, ყურადღებით იქნა განხილული პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში პროექტ ENIGMMA-ს ინიციატივით განხორციელებული კვლევის მნიშვნელობა, ასევე, ამ სფეროში შემდგომი რეფორმების განხორციელების საჭიროება. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ მიღწევებზე, გამოწვევებზე, საჭიროებებსა და სამომავლო ნაბიჯებზე ისაუბრეს საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებიც ქვეყანაში მიგრაციის მართვის პროცესში ჩართული ძირითადი უწყებებია. ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის წარმომადგენელმა განიხილა კვლევის მეთოდები, მის შედეგად გაკეთებული ძირითადი დასკვნები და წარმოადგინა რეკომენდაციები პერსონალური მონაცემების დაცვის კონკრეტული მიმართულებების შემდგომი განვითარებისთვის, რომლებიც მიგრაციის სფეროსთანაა დაკავშირებული.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





## პროექტ ENIGMMA-ს აქტივობები

### საინფორმაციო კამპანია 2015

მარტიდან მაისამდე პროექტ ENIGMMA-მ ჩაატარა მეორე საინფორმაციო კამპანია, რომელიც ფოკუსირებული იყო მიგრაციის ყველა ასპექტზე, კერძოდ, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაზე მიგრაციისა და მობილობის სფეროში, ასევე, ზოგადად, ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობისა და ურთიერთობების საკითხებზე. ENIGMMA-ს 2015 წლის საინფორმაციო კამპანიის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი მიღწევების შესახებ, როგორცაა, ასოცირების ხელშეკრულება, სავიზო დიალოგი და ადამიანთა მობილობა, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელება და სხვა. ამრიგად, კამპანიამ თვალსაჩინო გახადა ზემოაღნიშნული ძირითადი მიღწევები, რომლებიც ხელს უწყობს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში. კამპანიის დროს ასევე განიხილავდნენ ევროპასთან მჭიდრო ინტეგრირებით მიღებულ ორმხრივ სარგებელს.

კამპანიის დროს გამოყენებულ იქნა ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა მექანიზმები, კერძოდ, ტრენინგები მიგრაციის საკითხებზე, საინფორმაციო კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტების შესახებ, ფოტოკონკურსი, ფოტოგამოფენა, თამაშები და ვიქტორინები და დასკვნითი საინფორმაციო ღონისძიება.

### ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე იმერეთის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების თანამშრომელთათვის

30 აპრილს, ქუთაისში, გუბერნატორის ოფისში, მიგრაციის ტრენინგი ჩატარდა იმერეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგის ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის ცოდნის ამაღლება საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებმა მოხსენებები გააკეთეს ევროკავშირისა და საქართველოს მიმდინარე ურთიერთობების შესახებ, განიხილეს უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის შესრულების საკითხები, საქართველოს სავიზო რეჟიმის ცვლილებები, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ასოცირების ხელშეკრულება, ქართველ მიგრანტთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის საკითხები, უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემისა და ქვეყნიდან გაძევების პროცედურები და საქართველოში მიგრაციის მართვის ზოგადი მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ტრენინგი დადებითად შეაფასეს და მომავალში მსგავსი შეხვედრების ორგანიზების სურვილი გამოთქვეს.

### საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს პარლამენტში

14 მაისს, ქუთაისში, საქართველოს პარლამენტში, პროექტ ENIGMMA-მ უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „საქართველოში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიღწევები“. კონფერენციაზე განიხილეს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ევროკავშირის მხარდაჭერასთან, ასოცირების ხელშეკრულებასთან და საქართველოს პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგი და ICMPD-ის

როლი საქართველოში მიგრაციის მართვის მხარდაჭერაში, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მიღწევების შესახებ ისაუბრეს საგარეო საქმეთა მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის მოადგილეებმა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდენტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, იმერეთის რეგიონის უმაღლესი და საშუალო განათლების დაწესებულებათა პროფესორები და პედაგოგები, რომლებმაც აქტიური დიალოგი გამართეს მინისტრის მოადგილეებთან და ICMPD-ის გუნდთან, რომლის დროსაც ხაზგასმით მიუთითეს რეგიონში მსგავსი ღონისძიებების ორგანიზების საჭიროებაზე და, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში და ინტეგრირების საკითხებში წარმატების მიღწევის მნიშვნელობაზე. კონფერენციის დროს საქართველოს პარლამენტში გამოიფინა ფოტოები, რომლებმაც გაიმარჯვეს ENIGMMA-ის მიერ ორგანიზებულ ფოტოკონკურსში „რას ნიშნავს ჩემთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლა?“.



### საინფორმაციო კამპანიის დასკვნითი ღონისძიება

16 მაისს, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტ ENIGMMA-ს 2015 წლის საინფორმაციო კამპანიის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას მასპინძლობდნენ იმერეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე, ქალაქ ქუთაისის მერი და მისი მოადგილეები და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ღონისძიების მსვლელობისას იმერეთის რეგიონის მოსახლეობას გააცნეს ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ, განსაკუთრებული ფოკუსით ახალგაზრდებზე,



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





**ENIGMMA: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი უკვე წლებია თანამშრომლობენ. რომელ სფეროშია კონკრეტულად თქვენი აზრით ეს თანამშრომლობა ყველაზე ნაყოფიერი?**

**ბ-ნი გელა დუმბაძე:** მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლებთან ერთობლივად, როგორც ერთმა გუნდმა გავაანალიზეთ თანამშრომლობის პერსპექტივა და დავსახეთ ამოცანები. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი გამორჩეულად აფასებს ICMPD-ს გუნდის თითოეული წევრის გულწრფელ ინტერესს, ძალისხმევას და მოწადინებას, რომ საქართველოს სახელმწიფომ საერთაშორისო სტანდარტების მიდგომა განავითაროს მიგრაციის მართვის დროს. ჩვენი უაღრესად დადებითი დამოკიდებულება გამოვხატეთ 27 მაისს, როდესაც მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პროექტის მენეჯერს, ქალბატონ ვიოლეტა ვაგნერს, გადავეცით სპეციალური ჯილდო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისგან.

მიმდინარე ეტაპზე სრულდება მუშაობა ერთობლივ პროექტზე - ონლაინ სკოლაზე. ეს გახლავთ პროექტი, რომელიც ჩვენ მრავალ თანამემამულეს საშუალებას მისცემს ელექტრონულ რეჟიმში, პირდაპირი ჩართვებით განხორციელებული გაკვეთილების დროს შეისწავლოს ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. ასევე, ICMPD-ს გუნდთან ერთად ვიწყებთ ახალი პროგრამის დაგეგმვას, რომელიც მიმართული იქნება მაღალკვალიფიციური დიასპორის სამშობლოში ჩართულობის ხელშეწყობისკენ. მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი გეგმა გვაქვს. ჩვენი თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება ერთობლივად დასახული ამოცანების კვლავ წარმატებით განხორციელებას გვიჩვენებს.

### ICMPD-ის ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში

#### პრადის პროცესი საქართველოში



9-10 ივნისს, პრადის პროცესის მიზნობრივი ინიციატივის მე-5 საპილოტე პროექტის ფარგლებში, თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა არალეგალური მიგრაციის საკითხზე. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამუშაო შეხვედრას მასპინძლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია.

მე-5 საპილოტე პროექტის მიზანია არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე სახელმწიფოთა შესაძლებლობების გაძლიერება - ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით - არალეგალურ მიგრანტთა ვინაობისა და მოქალაქეობის დადგენის პროცედურების განმტკიცების კუთხით. ეს სამუშაო შეხვედრა ფოკუსირებული იყო თანამშრომლობის განვითარებაზე მესამე ქვეყნების საკონსულოებთან, მიგრანტთა წარმომადგენლების ქვეყნებთან და ტრანზიტულ ქვეყნებთან. მე-5 საპილოტე პროექტში ათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ICMPD-ის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. პროექტ ENIGMMA-ს წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინეს ორი პრეზენტაცია: „არალეგალური მიგრანტების მოქალაქეობის დადგენა დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსპექტივიდან გამომდინარე“; და „პროექტ ENIGMMA-ს საქმიანობა“.

#### გამოცდილების გაზიარება აბრეშუმის გზის ქვეყნებთან



30 მარტიდან 2 აპრილამდე, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ ავღანეთისა და ერაყის ოფიციალური პირები, რომლებიც შეხვდნენ საქართველოს საჯარო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს მიერ მიგრაციის სფეროში გატარებული საკანონმდებლო რეფორმებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში მიღწეული წარმატებების გაზიარებას. სამდღიანი სასწავლო ვიზიტის განმავლობაში სტუმრებმა მოინახულეს 11 საჯარო დაწესებულება და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც მიგრაციის მართვის პროცესში არიან ჩართულნი. ეს სასწავლო ვიზიტი განხორციელდა „მიგრაციის სფეროში აბრეშუმის გზის პარტნიორობის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ბუდაპეშტის პროცესის საფუძველზე ხორციელდება. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადაფინანსებაში მონაწილეობას იღებს ბულგარეთი, უნგრეთი (ხელმძღვანელი), ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო. პროექტის განხორციელებაში ძირითადი პარტნიორია ICMPD.

#### EAP-SIPPAP-ის შემაჯამებელი კონფერენცია

25 მარტს, თბილისში გაიმართა პროექტის - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამშრომლობა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში - პრადის პროცესის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა“ (EaP-SIPPAP) დასკვნითი კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნის, პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ფრონტექსის, გუამისა და პრადის პროცესის წარმომადგენლებმა. კონფერენციის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს პროექტის შედეგებს, მის ინოვაციურ მეთოდოლოგიას - რომელშიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული ოპერატიული და სასწავლო მოდულები, ასევე, პროექტის შედეგების მდგრადობის ხარისხს. აღმოსავლეთი პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნებმა სამომავლო ინიციატივებში თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოხატეს.



#### თანამშრომლობა საზღვრის მართვის სფეროში



24 მარტს, თბილისში, ოფიციალურ ცერემონიაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა და ევროკავშირის მრავალმა წევრმა სახელმწიფომ, ხელი მოაწერა სასწავლო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის ისტორიულ შეთანხმებას საზღვრის მართვის სფეროში. ეს ცერემონია, რომელიც ICMPD-მა მოაწყო უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით, პროექტ EaP-SIPPAP-ის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა. მასში ერთდროულად მონაწილეობს პროექტის ათი პარტნიორი და განხორციელებაში ჩართული პარტნიორები (უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი), ასევე აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნების საზღვრის მართვის ორგანოთა წარმომადგენლები.

წყარო: [www.icmpd.org](http://www.icmpd.org)



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





## საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული სიახლეები

### ახალი სავიზო რეგულირება საქართველოში

ამა წლის 5 ივნისს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც 94 სახელმწიფოს მოქალაქეებს ქვეყანაში უვიზოდ შემოსვლისა და 360 დღით დარჩენის საშუალებას აძლევს. ამ სახელმწიფოთა შორის არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, აშშ, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვები. ქვეყნების სრული ჩამონათვალი იხილეთ. ვებ გვერდზე [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

წყარო: <https://matsne.gov.ge/>

## ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან დიასპორის საკითხებში, ბატონ გელა დუმბაძესთან

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

**ბ-ნი გელა დუმბაძე:** თქვენთვის ცნობილია, რომ ქართული დიასპორა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია წარმოდგენილი. საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების რაოდენობა, დაუზუსტებელი მონაცემებით, 1,5 მილიონზე მეტს შეადგენს. საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩვენი თანამემამულეების ინტელექტუალური, ეკონომიკური თუ ადამიანური რესურსის ჩართვა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ჩამოყალიბების პერიოდის მხრივ ქართული დიასპორა იყოფა ისტორიულ და თანამედროვე დიასპორად: ისტორიულად მიიჩნევა დიასპორა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა პროცესის შედეგად ყალიბდებოდა, ხოლო თანამედროვედ შეიძლება განხილულ იქნას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ.) წარმოქმნილი დიასპორა. დიასპორის ჩამოყალიბების განსხვავებული წინაპირობისა და პროცესის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა: ერთი მხრივ, ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისა და სოციალური ჯგუფისათვის, და, მეორე მხრივ, ის ღონისძიებები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული დიასპორული ორგანიზაციის სპეციფიკითაა განპირობებული. შესაბამისად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი პრიორიტეტებს განსაზღვრავს მიზანმიმართულად, როგორც დიასპორის სიდიდის, თანამემამულეთა ჩართულობის, დაუცველობის თუ სხვა მაჩვენებლის მიხედვით.

**ENIGMMA: ხომ ვერ გაიხსენებდით ქართული დიასპორის მიერ საქართველოში ან საზღვარგარეთ განხორციელებულ ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან აქტივობას ან ინიციატივას?**

**ბ-ნი გელა დუმბაძე:** ხაზგასმით მინდა აღვნიშნო საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ღირსეული სოლიდარობა თბილისში დატრიალებულ ტრაგედიასთან მიმართებაში. დამანგრეველი სტიქიის შემდეგ ჩვენი თანამემამულეების მხრიდან დაფიქსირდა უპრეცედენტო თანადგომა: ყოველდღიურად სახელმწიფო მინისტრის აპარატში შემოდის ზარები სტიქიის შედეგად დაზარალებული პირების დახმარების სურვილით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილია პუნქტები, სადაც ქართველები აგროვებენ საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებს საქართველოში გამოსაგზავნად. გარდა ამისა, ჩვენი თანამემამულეები ატარებენ საქველმოქმედო კონცერტებს და აუქციონებს, შემოსულ თანხებს კი დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად რიცხავენ.

**ENIGMMA: ყოველი წლის 27 მაისს, დიასპორის აპარატი აღნიშნავს დიასპორის დღეს. რატომაა ამ დღის აღნიშვნა მნიშვნელოვანი თქვენი აზრით და რა ღონისძიებები მოეწყოა წელს აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით?**

**ბ-ნი გელა დუმბაძე:** ქართული დიასპორის დღის აღნიშვნით სახელმწიფო კიდევ ერთხელ ეუბნება საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, რომ მას ახსოვს და ზრუნავს ქართულ დიასპორაზე. წელს, დიასპორის დღესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში 27-29 მაისს, გაიმართა თვისობრივად განხვავებული ღონისძიებები. უპირველეს ყოვლისა, ჩატარდა პირველი პროფესიული დიასპორული ფორუმი, რომელსაც გასდევდა კონკრეტული მოწოდება საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისადმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“.

ფორუმის მიზანს წარმოადგენდა დიასპორასა და სამშობლოს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა პროფესიის თანამემამულეები, სასულიერო პირები, საქართველოს ხელისუფლებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

ფორუმი სიტყვით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. დიასპორული ფორუმის მონაწილეებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩვენი თანამემამულეები დალოცა და მათ საქართველოში მალე დაბრუნება უსურვა. ფორუმის მონაწილეებს ასევე სიტყვით მიმართეს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ, ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ ბორის იაროშევიჩმა, მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში ჰენრი კერალიმ, კაპიტალ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ლაშა ხოფერიამ, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის მენეჯერმა ვიოლეტა ვაგნერმა და საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსის (IdEA) წარმომადგენელმა სარა გალაგერმა.

ღონისძიების ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსთან, მემორანდუმები გაფორმდა. დიასპორის დღესთან დაკავშირებით ასევე გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება - საზღვარგარეთ მოღვაწე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, კლასიკური მუსიკის კონცერტი, ლიტერატურულ და სტუდენტურ კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება, სამშობლოში განხორციელებულ ინიციატივასთან გასაცნობი ტური. დიასპორის დღის ფარგლებში გამართული კვირეული იყო ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოს განვითარებაში ჩართვას ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს.

სწორედ ჩართულობის გასაძლიერებლად ვმუშაობთ სხვადასხვა ინიციატივურ პროექტზე, მათ შორის აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა დიასპორის ფულად გზავნილებთან (რემიტანსებთან) მიმართებაში. სრულდება მუშაობა პუბლიკაციაზე, რომელიც დაეთმობა დიასპორის ჩართულობის, შესაბამისი საინვესტიციო და ფინანსური მექანიზმების დანერგვა-გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ სწორედ პროფესიულ ფორუმზე, 27 მაისს წარვადგინეთ ჩვენი კიდევ ერთი პუბლიკაცია „სახელმწიფო და დიასპორა: საერთაშორისო გამოცდილება“ რომელიც მიმოიხილავს სხვადასხვა სახელმწიფოს გამოცდილებას საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის კუთხით.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





შემუშავების შესახებ. და კიდევ ერთი, ENIGMMA ახორციელებს ყოველწლიურ საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის სფეროში მიღწეული შედეგების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, სავიზო დიალოგი და ადამიანთა მობილობა, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, და სხვა.

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## რიგის სამიტი

ამა წლის 22 მაისს, რიგაში, ლატვიის დედაქალაქში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ჩატარდა. ამჟამად ლატვია არის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა. ფორუმს ესწრებოდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი სახელმწიფოს/მთავრობის (საქართველოს, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, მოლდოვის, სომხეთისა და უკრაინის) და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მეთაურები. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე გამართული დისკუსიები ფოკუსირებული იყო პროგრესზე, რომელსაც პარტნიორმა ქვეყნებმა მიაღწიეს ევროპული ინტეგრაციის პროგრამის განხორციელებაში ვილნიუსის სამიტის შემდეგ. სამიტზე ასევე განიხილეს თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების გეგმების სტრუქტურა.

სამიტის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნების მიერ ერთობლივად მიღებული დოკუმენტი. დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ის პრინციპები და ღირებულებები, რომლებიც ქმნის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების საფუძვლებს და განსაზღვრავს ნაბიჯებს, რომლებიც მომავალში უნდა გადაიდგას ურთიერთობათა შემდგომი განვითარების მიზნით.

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

## ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარება ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში

### • საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა ჩატარდა

თბილისში, საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა ჩატარდა, რაც საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ახალი ინსტიტუციური ჩარჩოს ნაწილია, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ შეიქმნა. სხდომაზე განიხილეს მიმდინარე საკითხები და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პრიორიტეტები, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ჩათვლით; ასევე, საქართველოს მიერ დემოკრატიულ რეფორმებში მიღწეული შედეგები, მათ შორის, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებათა დაცვა. სხდომის დროს ყურადღება მიექცა მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებს, განსაკუთრებული აქცენტით საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის მიმდინარეობაზე, რომელთან მიმართებითაც საქართველოს მხარემ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს შემოდგომაზე ეწვევა ევროკავშირის შეფასების მისია, რომლის დასკვნების საფუძველზეც ევროკომისია მოამზადებს მოხსენებას, ხოლო ევროკავშირი დაიწყებს მუშაობას საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხზე. კომიტეტის პირველი სხდომა ორივე მხარემ დადებითად შეაფასა.

### • ევროკავშირის შემდგომი დახმარება საქართველოს ხელს უწყობს ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში

აპრილის თვეში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, დავით ბაქრაძემ და ევროკავშირის ელჩმა, იანოშ ჰერმანმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ქვეყანას ასოცირების ხელშეკრულების კონკრეტული დებულებების შესრულებაში დაეხმარება. ევროკავშირის ფინანსური დახმარება ძირითადად მოქალაქეებისათვის გაუმჯობესებული სერვისების მიწოდებაზეა ფოკუსირებული. ქართულ ინსტიტუტებს დასჭირდებათ გამოცდილებისა და ტექნიკური დახმარების მიღება, რათა გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი საჯარო ადმინისტრირების გარკვეულ სექტორებში და მიიღონ კანონმდებლობა გარემოსდაცვით სექტორში, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან. გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე მოქალაქეთა წვდომას ასევე ხელს შეუწყობს მეტი გამჭვირვალობა.

პრინციპი - „უკეთესი სერვისები საქართველოს მოქალაქეებს“, არის რაციონალური მიდგომა, რომელიც განაპირობებს მონაცემთა დაცვის სააგენტოსთვის, საქართველოს პარლამენტისთვის და გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისო კომისიისთვის მხარდაჭერას.

### • სლოვენია მოახდინა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება

13 მაისს სლოვენიის ეროვნულმა ასამბლეამ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. საქართველოში ხელშეკრულება უკვე რატიფიცირებულია, მაგრამ რატიფიცირების პროცესი გრძელდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ხელშეკრულების სრულ განხორციელებამდე ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ევროკავშირის ყველა 28 წევრი სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს.

სლოვენია ევროკავშირის 21-ე წევრი სახელმწიფოა, სადაც ევროკავშირი-საქართველოს შეთანხმების რატიფიცირება მოხდა. ხელშეკრულება ასევე რატიფიცირებულია კვიპროსის რესპუბლიკაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გაერთიანებულ სამეფოში, ფინეთში, ლუქსემბურგში, პორტუგალიაში, გერმანიაში, პოლონეთში, ირლანდიაში, დანიაში, შვედეთში, ხორვატიაში, რუმინეთში, უნგრეთში, ესტონეთში, სლოვაკეთში, მალტაში, ლატვიაში, ლიტვასა და ბულგარეთში.

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ოფისი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში

## ევროპის კვირეული საქართველოში

4-11 მაისს, საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით, საქართველოში ევროპის კვირეული ჩატარდა. კვირეულის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით მრავალი ღონისძიება გაიმართა - ფესტივალები, ლექციები, საჯარო აქტივობები და სხვადასხვა სახის კულტურული და სახელოვნებო წარმოდგენები. საქართველო ევროპის კვირეულს 2007 წლიდან მასპინძლობს. იგი მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. ევროპის კვირეული კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ნაწილია.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ოფისი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ





# მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო ბიულეტენი # 5

## კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი

### ძვირფასო მკითხველო!



ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი სიამოვნებით წარმოგიდგენთ მიგრაციის საკითხებზე მეხუთე საინფორმაციო ბიულეტენს. ჩვენი საინფორმაციო

ბიულეტენების სერია მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია საქართველოში მიგრაციის მართვისა და მიგრაციის სფეროში ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ. ამასთანავე, საინფორმაციო ბიულეტენში მოცემულია ENIGMMA-ს და ICMPD-ის სხვა პროექტების ფარგლებში რეგიონში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების ზოგადი მიმოხილვა.

ამ გამოცემაში თქვენ გაეცნობით რიგის სამიტის შედეგებს, საქართველოში ჩატარებული ევროპის კვირულის ღონისძიებებს, ევროპის კომისიის მოხსენებას საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სავიზო რეჟიმის სფეროში საქართველოს მიერ მიღებულ ახალ მარეგულირებელ დებულებებს და ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა ახალ ამბებს. ჩვენ ასევე მოგაწვდით სრულ მიმოხილვას ENIGMMA-ს 2015 წლის საინფორმაციო კამპანიისა და ICMPD-ის მიერ საქართველოში და ზოგადად რეგიონში განხორციელებული სხვა აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, ბიულეტენში თქვენ წაიკითხავთ ინტერვიუს საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან დიასპორის საკითხებში, ბატონ გელა დუმბაძესთან, რომელიც საუბრობს მიმდინარე წელს საქართველოში ჩატარებული დიასპორის დღეებისა და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები, ასევე ბიულეტენის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რჩევები გამოგვიგზავნოთ საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

ENIGMMA-ს პროექტის გუნდი მადლობას გიხდით დაინტერესებისთვის. ვიმედოვნებთ, კმაყოფილი დარჩებით ამ გამოცემით.

### თქვენი ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი

#### ამ გამოცემაში

##### სიახლეები:

- ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან დიასპორის საკითხებში, ბატონ გელა დუმბაძესთან

##### მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენის მუდმივი რუბრიკები:

- ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები
- საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებული სიახლეები
- ICMPD-ის ძირითადი საქმიანობა საქართველოსა და რეგიონში
- პროექტ ENIGMMA-ს მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები
- «ვინ ვინ არის?» დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

### ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან დიასპორის საკითხებში, ბატონ გელა დუმბაძესთან

**ENIGMMA:** ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მიგრაციის პროცესების დარეგულირებისა და მართვის მხრივ. რა როლს თამაშობს ამ სფეროში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი?



#### ბ-ნი გელა დუმბაძე:

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი არის მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყება. მიგრაციის უკეთ მართვასთან დაკავშირებული წინ გადადგმული ნაბიჯები კომისიის წევრი უწყებების ერთობლივი და შეთანხმებული ძალისხმევის შედეგია. პროცესის სწორად წარმართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის მისწრაფების განხორციელებას - ევროპასთან ინტეგრაციას.

**ENIGMMA:** დიასპორის აპარატის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საზღვარგარეთ მყოფ ქართულ დიასპორებთან კავშირის დამყარება და შენარჩუნება. რა განსაზღვრავს თქვენს პრიორიტეტებს ამ მხრივ? დიასპორის სიდიდე ამა თუ იმ ქვეყანაში, მათი ჩართულობის დონე, მათი დაუცველობის ხარისხი თუ სხვა რამ?

გაგრძელება 3-ე გვერდზე

### ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

ევროპის კომისიის მოხსენება საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

2015 წლის 8 მაისს ევროპის კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესრულების შესახებ. ეს არის პირველი მოხსენება, სადაც განხილულია მეორე ფაზის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მდგომარეობა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია VLAP-ის ოთხი ბლოკის განხორციელებაში, რაც მიუთითებს ქვეყნის მტკიცე ერთგულებაზე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისადმი და მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევის ფარგლებზე. კომისიამ აღნიშნა, რომ მომდევნო მოხსენება 2015 წლის ბოლოს გამოქვეყნდება.

საგულისხმოა აღინიშნოს აქტივობათა მთელი წყება, რომლებსაც ICMPD ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ ENIGMMA-ს მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს VLAP-ის რეალიზებაში საქართველოს მთავრობისთვის დახმარების გაწევას. კერძოდ, მნიშვნელოვან აქტივობად მიიჩნევა მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრა მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს